საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 247 კვირა, 2 ივნისი 1918 წ. № 24

სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

გუშინ ეროვნულ საბჭოს კრებაზე აირჩიეს საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგები: ი. ბარათაშვილი და ე. თაყაიშ[illegible]მეხთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ მ[illegible] შემოერტყნენ თათრები: მათ ოსმალო ოფიცრები მეთაურობენ. განჯაში ნაზიმ-ფაშამ თათრებს იარაღი აჭურა.—ფრანგების ინტერესების დაცვა ფრანგების კონსულმა სპარსეთის კონსულს მიანდო.—გუშინ საქართველოს მთავრობისა და ეროვნულ საბჭოს წარმომადგენელნი გერმანიის წარმომადგენლებს ეწვივნენ—დასავლეთის ფრონტზე გერმანელებმა 45000 კაცი დაატყვევეს და ხელში ჩაიგდეს 400 ზარ. და 1000 ტყვიის-მფრქ.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი სამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში“ (ქ. თავართქილაძისეული „ნადეჟდა“) ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირდება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში,

ხელის მოწერა და უბრალო განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის ს. № 6.

ფულისა და სხვა წერილებისა და ტელეგრამებისთვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме“, поч. ящ. 180.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

სახელმწიფო თეატრი

დილის წარმოდგენა. კვირას 2 ივნისს 1918 წ. დილის 12 საათზე.

კოტე ფოცხვერაშვილის და ნიკო ქართველის ხელმძღვანელობით გაიმართება პირველად თავისუფალ საქართველოში ქართულ სარევოლიუციო ღ ეროვნულ

ჰიმნ საგალობელთა აკადემია

მრავალრიცხოვანი სიმფონიური ორკესტრისა და ქალ-ვაჟთა გუნდის მიერ შესრულებული იქნება სხვა და სხვა ავტორების სანიმუშო თხზულებანი ქართული ეროვნული ჰიმნი, ლაშქრული, ლოცვა ქართველი ერისა, ქართული მარშები და სხვანი. დასაწყისი დილის 12 ს. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში

აფიშები არ გამოვა.

1179

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 29 მაისს გარდაიცვალა

ნიკოლოზ (კოლა) ივანეს ძე თაქთაქიშვილი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მშობლები ელისაბედ ალექსანდრეს ასული და ივანე იასეს ძე თაქთაქიშვილები, მეუღლე ნინო ივანეს ასული პატარა შვილებით, ძმები იასე და მიხეილ ცოლშვილითურთ, დები კატო და ნინო თაქთაქიშვილები და სოფიო ივანეს ასული ფალავანდიშვილისა ქმრით და შვილებით. მიცვალებულის გამოსვენება, რკინის გზის სამკურნალოს ეკლესიიდან დღეს, კვირას, 2 ივნისს, დილის 9 ს. წირვა და დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. 580

ქართული კლუბი

კვირას 2 ივნისს ქართ. უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის სასარგებლოდ გაიმართება

საღამო-მეჯლისი

1. განყოფ. პირველად ტფილისის სცენაზე ახალი პიესა შალ. დადიანისა

გუშინდელნი

კომ. 3 მოქმედებად

მონაწილეობს ქართული დასი.

2. სალიტ. განყოფილება. მონაწ. მიიღებენ: გრ. რობაქიძე, დ. კასრაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ყანჩელი, პ. იაშვილი, ტიტე ტაბიძე, ვ. გორგაძე, ი. მჭედლიშვილი და ლელი ჯაფარიძე.

დასასრულ ვახშამი-კაბარეთი

კაბარე გაიმართება ს. ყანჩელის მეთაურობით. აგრეთვე იქნება სხვა და სხვა გასართობები: პტი-შვო, აუქციონი, ლატარია, კონფეტები, ყვავილები და სხვ. ბილეთების ყიდვა შეიძლება ქ. კლუბის კასსაში და საჩაიე ძმურ ნუგეშში.

მაგიდები ამ თავითვე უნდა დაიკვეთონ ზ. ჩიხლაძესთან ოლღას ქუჩა სარაჯიშვილის კანტორაში 9—12 ს.

1171 ქარ. უნივ. სტუდ. კავშირის გამგეობა.

ქართული კლუბი

სამშაბათს 4 ივნისს 1918 წ.

ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-ს სასარგებლოდ ქართული ძველი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ოპერეტა,

არშინ მალ-ალან

ოპერეტა 4 მოქ. გაჯიბეგოვისა. თარ. ვ. გიგოშვილისა.

ასკარას როლს შეასრულებს მ. ჯანოევი. ანტრაქტებში იქნება სხვა და სხვა გასართობები. ფოსტა. ამერიკული აუქციონი. ყვავილები, სიმღერა, მუსიკა, ცეკვა. ბილეთები იყიდება ყოველ დღე კასაში.

დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. 582 გამგე ვანო გიგოშვილი.

ქართული კლუბი

დილით 1 ს. კვირას 2 ივნისს, დილით 1 ს.

ქართულ დრამ. დასის მსახიობთა მიერ შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

ისტორ. დრამა 5 მოქ. და 6 სურ. ვ. გუნიასი.

წმინდა შემოსავლიდან 30% გადაიდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველ უბნის კომიტეტის სასარგებლოდ.

დასაწყისი დილის 1 საათზე. ბილეთები იყიდება კასაში.

განათლების სამინისტროს ნებართვით

საზაფხულო ბუხჰალტერიის კურსები

(გამოც. მასწ. ბუხჰალტერ-სპეცია[illegible]ისა).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები ისე ქალები [illegible] სამი თვით. სწავლა იქნება ვრცელი პროგრამით პირობების გაგება—დილის 10 დან 2 საათამდე.

მისამართი: ტფილისი, დუშეთის ქუჩა სახლი № 9. (1-ლი სამილიციო-[illegible]რო უბანი). 578

მოკლე პრეისკურანტი

ლეონიდ ისაკის ძის შახნოვსკის კაუჩუკის და სპილენძის ბეჭდების ფაბრიკის. ტფილისი. ნიკოლოზის (ვორონცოვის) ხიდი № 10.

№ 1. ბლანკების ბეჭედი—12 მანეთიდან, № 2. მრგვალი ბეჭედი კაუჩუკის—10 მან., № 3. მრგვალი, საეკლესიო ბეჭედი—12 მან., № 4. სპილენძის ბეჭედი ლუქისათვის—25 მან., № 5. კალენდარის ბეჭედი—25 მანეთიდან, № 6. ყოველ გვარი წარწერა, ფასი შეთანხმებით, № 7. არის ჯიბის ყოველ გვარი ბეჭედი 20 მანეთიდან.

შენიშვნა: ფაბრიკა ამზადებს ბეჭდებს ქართულ ენაზედ. ქალაქს გარეთის მუშტრებს ვთხოვ შემდეგი მისამართით შემიკვეთონ: ნიკოლოზის ხიდი, ლ. ი. შახნოვსკი. საქმე სრულდება სწრაფად და კეთილსინდისიერად.

პატივისცემით: ლ. ი. შახნოვსკი. 573.

თევზი იყიდება

ყოველგვარი მეტად ხელსაყრელ პირობებში როგორც პარტიობით აგრეთვე გირვანქობით.

პირობების გაგება შეიძლება ახლად გახსნილ რკინის გზ. სასურსათო მაღაზია—საწყობში ვოგზლის ქუჩა სამმართველოს გვერდით.

აქვე შეიძლება შეიძინოთ საუკეთესო სელიოტკა კერჩის და ასტრახანისა ტომატიპიურე ზეთის ხილი, პიკული და სხვა.

1150 რკ. გზის სასურსათო კომიტეტი.

დიდი ცირკი

ძმ. ეფიმოვებისა

ჩიტეილის პრ., მუშტ. ახლო, საკუთ. ახლად შეკეთ. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს, 2 ივნისს გაიმართება

2 დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა

გასტროლი მსოფლიო ფალავანი სალი-სულეიმანის: ის მოღუნავს რკინას და ხელით ჩასჩქედავს ლურსმანს. მრავალი ახალი ნომერი „ჯვარი სიკვდილისა“ და სხვ. მონაწილეობენ იამოდა-სანი, პ. ელიზაროვი, ესპეროლდა და სხვანი.

მთავარი ადმინისტრატორი: პ. ელიზაროვი. 583

კვირას, 2 ივნისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე ქართულ კლუბის საზაფხულო შენობაში დანიშნულია

გაგრძელება

ტფილისის ქართველ-ვაჭართა და მრეწველთა კავშირის

დამფუძნებელი კრება

განსახილველი საგნები:

1. ხარჯთ-აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა.
2. ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა.
3. ამორჩევა გამგეობის წევრებისა.
4. ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დაესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე შინაური მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზე გამოსვლას.

567 საორგანიზაციო კომისია.

ქართული დრამატ. საზოგ. გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის მიერ დანიშნულია პრემიები საუკეთესო ორიგინალური პიესებისთვის.

პრემიები ესეა განაწილებული:

პირველი პრემია (ერთი) — —	1000 მან.
მეორე პრემია (ორი) — —	700 „
მესამე პრემია (ერთი) — —	500 „

პიესებს განიხილავს იმისთვის საგანგებოდ დანიშნული კომისია.

დაბეჭდილ კონვერტებში ავტორი აღნიშნავს თავის სახელს, გვარს და პიესის სათაურს.

ეს კონვერტები გაიხსნება მხოლოდ მაშინ, როდესაც სამუდამოდ გამოირკვევა რომელ პიესას რა პრემია აქვს მინიჭებული.

პრემიით დაჯილდოვებული პიესის სცენაზე დადგმის უფლება ეძლევა განსაკუთრებით დრამატ. საზოგად. 3 წლით, მაგრამ ავტორი მიიღებს ყოველთვის თვითეულ წარმოდგენაზე დანიშნულ ჰონორარს.

პიესები უნდა წარედგინოს დრამატ. საზოგადოებას ამ წლის 15 ოქტომბრამდის ამ მისამართით:

ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორა, ტფილისი. 113

ბინები და ოთახები

თანახმად საბჭოს დადგენილებისა ქალაქის გამგეობა აქვეყნებს შემდეგ დამატებითი სავალდებულო დადგენილებას:

1) აკრძალულია ოთახებისა და ბინების გაქირავება რეკვიზიციის ან სარეკვიზიციო უწყების მიღების შემდეგ.

2) აკრძალულია იმ ოთახებისა და ბინების გაქირავება, რომელიც ქალაქის გამგეობის საბინო განყოფილებას აქვს უკვე აღნუსხული.

3) ამ დადგენილების დამრღვევნი დაისჯებიან თანახმად სასჯ. წესდების მე-29 მუხლისა.

ტფილისის ქალაქის გამგეობა. 1158

სრულ უფლებიანი ქართული ქალ-ვაჟთა გიმნაზია

მასწავლებელთა კოლეგიისა

მისაღები ეგზამენები დაიწყება 3 ივნისს II, III განყოფილებაში, I, II III, IV, V და VI კლასებში თხოვნები მიიღება გიმნაზიის კანცელარიაში ყოველ დღე დილ. 10 ს. 3 საათ.

ალექსეევის ქუჩა № 17 ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 553

ვხსნი სიზმრებს

და ვასწავლი თვისი მომავალის გაგებას სიზმრის საშუალებით.

მისამართი: მოსკოვის ქ. 1 იკითხეთ მეწვრიმალე. 581

საჭიროა ექიმი

ტფილისის ახლო სოფელ მარტყოფში

მოლაპარაკება პირობებზე ექიმ ბერიშვილთან მიხაილოვის შესახვევი № 8 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ. 577

ტფილისი. 2 ივნისი 1918 წ.

საქართველოს პარლამენტარიზმი.

განსაკუთრებულ პირობებში ვცხოვრობთ. როგორც არა ერთხელ აღგვინიშნავს, ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ომი შეუძლებლადა ჰხდის ნორმალურ განვითარებასა და დადებითს პრაქტიკულს შემოქმედებას. მაგრამ დღევანდელ პირობებშიაც კი აუცილებლად საჭიროა არა მარტო განმტკიცება პარლამენტარიზმისა ჩვენში, არამედ ყოველივე ღონის მიღება, რათა ხალხმა შეიგნოს რა არის პარლამენტარიზმი და ამასთანავე ერთად ისწავლოს პარლამენტარისტული პოლიტიკური ცხოვრება.

ძალიან ბევრგან ხალხის შეგნებაში ყოველნაირი გამოხატულება სახელმწიფოებრივობისა „ძველ რეჟიმად“ მიაჩნიათ. ეს ადვილი ასახსნელიცაა. ძველი წესწყობილება თვითმპყრობელობის ნიადაგზე იყო აშენებული და თვითმპყრობელობასთან ერთად აღიგავა ეს დაწესებულებანიც. ამიტომ ეხლა, როდესაც განახლებული და ახალის პრინციპებით აშენებული მთავრობა კვლავ ცდილობს სახელმწიფო დაწესებულებათა აშენებას, აღდგენას, ხალხის ფართო მასაში ეს გარემოება სრულიად გაუგებარი ხდება.

საჭიროა ამ გაუგებრობას ბოლო მოეღოს. დღემდის თუ სოფელში მიდიოდა ვინმე, მხოლოდ სარევოლიუციო მიზნით სარევოლიუციო ქარცეცხლის პირველმა დღეებმა განვლო, ეხლა საჭიროა განმტკიცება ყველაფერი იმისა, რაც რევოლიუციამ მოგვცა. უპირველესად ყოვლისა, რა თქმა უნდა, საჭიროა განმტკიცება პარლამენტარიზმის იდეისა. ეს პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა თავის თავზე უნდა იდოს სოფლის მასწავლებლებმა. ისინი ვალდებულნი არიან გამართონ ლექციები და აუხსნან ხალხს, რასა ნიშნავს პარლამენტარიზმი და რა ძირითადი პრინციპიალური განსხვავება არსებობს ძველსა და ახალ წეს-წყობილებას შორის. თუ სოფლის ინტელიგენციამ დღესვე არ გასწია ეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა, ჩვენი ხალხი ისევ პოლიტიკური სიბნელით იქნება მოცული და ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობა გაძნელდება.

ქართული პრესა

გაზეთი „ერთობა“ სწერს:

ამ რამდენიმე დღის წინად ეროვნულ საბჭოში მთავრობას შეკითხვა წარუდგინეს: იცის თუ არა მან, რომ როგორც ხმებია აზერბეიჯანის წარმომადგენლები აქ, ტფილისში აპირებენ აზერბეჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადებას და მთავრობის მოწყობას და თუ იცის, რა ზომებს იღებს ასეთ შეუწყნარებელ ამბის თავიდან ასაცდენად. მაშინ საბჭო მთავრობის განმარტებით დაკმაყოფილდა, რადგან მთავრობამ განაცხადა, რომ ის ყოველგვარ ზომებს მიიღებს.

როგორც ვიცით, აზერბეიჯანის დამოუკიდებლობა გამოცხადდა, გამოცხადდა აგრეთვე არარატის დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელშიაც სომხების პროვინციები შევლენ, მართალია მუსულმანები აცხადებენ, რომ მათი სატახტო ქალაქი იქნება განჯა, მაგრამ როგორც ხმები დადის, არც მუსულმანების ახალი მთავრობა, რომელსაც სათავეში ხოის ხანი უდგას და არც სომხის ეროვნული საბჭო, რომელმაც თავისი თავი არარატის რესპუბლიკის მთავრობათ გამოაცხადა,

ტფილისიდან არ გასულან, ეს კი შეუწყნარებელია და ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას უხერხულ მდგომარეობაში აგდებს. ყოველი სახელმწიფო ორი სამი მთავარი ელემენტით ხასიათდება—ესენია ხალხი, ტერიტორია და მთავრობა. ამიტომ შეუძლებელია რომელიმე სახელმწიფოში, მის ტერიტორიაზე ორი მთავრობა არსებობდეს. ყოველი მთავრობა საკუთარ ტერიტორიაზე ახორციელებს თავის მოვალეობებს.

ჩვენ ვერ მოვითმენთ, რომ თუნდაც ერთი წუთით იმყოფებოდეს ჩვენს ტერიტორიაზე სხვა სახელმწიფოს მთავრობა. ამისათვის არავითარი გასამართლებელი საბუთი, არავითარი მიზეზი არ შეიძლება არსებობდეს. ეს „უბრალო ჭეშმარიტება კარგად ესმის იმათ, ვინც სხვა ქვეყნის მთავრობათ ითვლება, მაგრამ აქ ჩვენს ტერიტორიაზე კი განაგრძობს ყოფნას. ამიტომ დაუყონებლივ უნდა იქნას მიღებული საჭირო ზომები და ასეთს არა ნორმალურ მდგომარეობას, თუ მართლა მას ადგილი აქვს, ბოლო უნდა მოეღოს.

სრულიად სამართლიანია გაზეთის მოთხოვნა და ამ საქმეში დაყოვნება შეუძლებელია.

მთავრობაში

მთავრობამ დაადგინა შინაგან საქმეთა მინისტრის წინადადება მისცეს შეატყობინონ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსებს, რომ არ იქნეს მიღებული პოლიტიკური ხასიათის დეპეშები. დადგენილია ფოთის ნავთსადგურის მუშებისათვის გადაიდოს 1 მილიონი მან. 10 მილიონიან ფონდიდან. დადგენილია შესდგეს თათბირი, რომელზედაც მცოდნე პირნი იქნებიან მოწვეულნი სურსათის საკითხის შესახებ.

რუსეთში მიმავალ სამხედრო მოხელეების და ოფიცრების ჯამაგირის გადასახდელად სამხედრო მინისტრის განკარგულებით გადაიდო 1 მილიონი 590 ათასი მანეთი, იმ პირობით, რომ ოფიცრები და სამხედრო მოხელეები, რომელნიც დაკმაყოფილებულნი იქმნებიან, მაშინვე რუსეთში წავლენ.

საფრანგეთის კონსულმა ნიკოლამ მთავრობას მიმართა რომ მისი მისია გამოურკვეველ მდგომარეობის გამო გათავებულია და თავისი საქმე ე. ი. ფრანგების ინტერესების დაცვა გადასცა სპარსეთის კონსულს. რადგანაც კონსული ნიკოლა აგრეთვე შვეციის კონსულია ის თავის ადგილზე სტოვებს ბერლემონს.

ეროვნული საბჭო

შაბათს 1 ივნისს სახალხის თეთრ დარბაზში კ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით შესდგა საქართველოს ეროვნულ საბჭოს მესამე მორიგი სხდომა. თავმჯდომარემ სხდომა გახსნა ნაშუადღევის 1 საათზე და ეროვნულ საბჭოს წარუდგინა განსახილველ საქმეთა რიგი. განსახილველად წარდგენილ იქნა: 1) პრეზიდიუმის არჩევანი, 2) კომისიების—სამხედრო, საბიუჯეტო, მუშათა, საურიდიო, საგრარო, სარეგლამენტო და სხვ.

განსახილველ საქმეთა შორის პირველ რიგში დაყენებულ იქმნა არჩევანი და შევსება პრეზიდიუმისა. თავმჯდომარის ამხანაგად არჩეულ იქმნენ ი. ა. ბარათაშვილი (ს. ფ.) და ექ. ს. თაყაიშვილი, ხოლო მდივნად დ. ონიაშვილი და მის ამხანაგად ექ. აბაკელია.

შემდეგ აირჩიეს კომისიები. საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებად ამორჩეულ იქმნენ: ე. გეგეჭკორი, ნ. ზ. ელიავა, ქიქერაშვილი, თოფურიძე, ს. მდივანი (ს.ფ.), ვარაზაშვილი, პ. ი. ქავთარაძე. სამხედრო კომისიის წევრებად: ნ. ჟორდანია, ევ. გეგეჭკორი, ვალ. ჯუღელი, თევზაია, ი. გედევანიშვილი (ს. ფ.), შალ. მიქელაძე (ს. ფ.), ივ. გობეჩია, დ. ე. ვაჩნაძე და კ. აბხაზი; იურიდიულ კომისიის წევრებად: ანჯაფარიძე, რ. არსენიძე, გ. რცხილაძე (ს. ფ.). ი. ბარათაშვილი (ს ფ.), კ. ნინიძე, ივანიცკი, ი. გობეჩია; საგარეო კომისიაში: რ. ჩიხლაძე, კ. ნინიძე, ცაბაძე, ანდრონიკაშვილი, თ. ღლონტი (ს. ფ.), აკაკი პაპავა (ს. ფ.), მ. მაჩაბელი და ჩიქოვანი; მუშათა კომისიაში: ტოროშელიძე, ერაძე, ლ. შენგელაია, ერ. ტოროტაძე (ს. ფ.), და რ. გაბაშვილი და სარეგლამენტო კომისიაში: რ. არსენიძე, ანდრონიკაშვილი, კ. მესხი, არ. ჯაჯანაშვილი (ს. ფ.) და ვეშაპელი. დანარჩენ კომისიებს შემდეგ აირჩევენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის გარშემო

(დეპეშები).

ყვირილა. 29 მაისი. მე-12 ქართული პოლკის საექიმო პერსონალი აღტაცებით ულოცავს გაბედნიერებულ ქართველობას მკვდრეთით აღდგომას. ამიერიდან ვიცით, ვისა და რას ვემსახურებით.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

მონდობილობით ექიმი **გიორგი ამაშუკელი**. ბაღდადი.

მოწოდება მეგრელებს

ტფილისი. 1 ივნისი „ანდონსანი“.

„ყველასათვის თვალსაჩინოა, თუ რა საბედისწერო მდგომარეობაში იმყოფება დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა. მაშინ, როდესაც საერთაშორისო შეჯახებაში, უმაგალითო ქარცეცხლში იმსხვრევიან მთელი ერები და სახელმწიფოები, ისტორიამ უკარნახა ქართველ ერს თავისი დამოუკიდებლობა გამოეცხადებინა. და მართლაც, თუ ჩვენი ერი გამოიღებს მთელ თავის ძალღონეს, თუ ის მზად იქნება საჭირო მსხვერპლზე, ის შესძლებს წარმატების და განვითარების მიღწევას.

ამხანაგებო, თქვენ იცით, რომ ამ უკანასკნელ დროს, სხვა უბედურებასთან ერთად ჩვენი თავდაცვის საქმეს ძლიერ ხელი შეუშალა სამეგრელოში მომხდარ აჯანყებებმა.

სამეგრელო ვალდებულია თავის დიდი შეცდომა გაასწოროს.

დღეს გარემოება მოითხოვს, რომ მთელმა ერმა, მჭიდროდ შეკავშირებულმა, განურჩევლად კუთხისა მდგომარეობისა და რწმენისა, იარაღით ხელში დაიცვას თავისი სამშობლო, თავისი კერა, შეინარჩუნოს თავისუფლება და ფიზიკური არსებობა.

ყველას, ვინც საერთო ინტერესს, თავისუფლებას და რევოლიუციას თავის პირად ინტერესებზე მაღლა აყენებს, ვისი სულისკვეთება ჯერ კიდევ არ შეუპყრია სასოწარკვეთილებას, ჩვენ მოუწოდებთ დაუყონებლივ ჩაეწეროს იმ რაზმში, რომელიც დგება სამეგრელოში. გახსოვდეთ, რომ დაყოვნება სასტიკი დანაშაულია ხალხის წინაშე.

ევგენი გეგეჭკორი, ი. ხალაყაია, გიზო ანჯაფარიძე, ბ. თევზაია.

ომის დეპეშები

ტფილისი 1 ივნისი, „ანდონსანი“

ვენა 31 მაისი. ოფიციალური ცნობა ტონალეს რაიონში გუშინ მხოლოდ საარტილერიო ბრძოლა იყო დრო გამოშვებით. მტრის იერიში კაპოსილეს აღმოსავლეთით მოვიგერიეთ.

ბერლინი. 31 მაისი. ჩვენი შეტევა ბრწყინვალედ მიდის ნუაიონიდან რეიმსის დასავლეთ მხარემდე.

პარიზი 31 მაისი. ფრანგების მარცხენა ფრთით ელეტის რაიონში გერმანელები განაგრძობენ მთელი დღე-ღამის განმავლობაში მძლავრ შემოტევას... (გამოტოვებულია). ნუილისენის მიმართულებით ლასის სამხრეთით ფრანგებმა ძლიერი კონტრ-იერიშით შეაჩერეს მტრის ცდა: მტერი დიდად დაზიანდა და ვერავითარ ნაყოფს ვერ მიაღწია ამ რაიონში, მოწინაამდეგემ პირიქით, სუასონის მზის დასავლეთით ტერიტორიის ნაწილი დაიპყრო... (გამოტოვებულია). ცენტრში გერმანელების პოლკები მარნას ნაპირს მიუახლოვდნენ.

ბერლინი. (ურიცხვოდ) გერმანია-ავსტრო-უნგრეთის ცნობა. კრონპრინც რუპრეხტის ლაშქარი. საარტილერიო შეტაკებებია და უმნიშვნელო შეტაკება ქვეითა ჯარისა.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი ჩვენი ჯარი ფეხდაფეხ სდევს უაზსა და ელეტზე მტერს, რომელიც გარბის ელეტის ფრონტიდან უაზის სამხრეთით, ჩვენმა ჯარმა დაიკავა ბრეტინი როლტროსლი(?) და ლუარი. ენის ჩრდილოეთით ჩვენ გავრეკეთ მტერი ბიექსი-შავინის იქით, სუასონის სამხრეთით ფრანგების კავალერიამ და ქვეითა ჯარმა კონტრ-იერიში მოიტანა. მტერი ჩვენ ცეცხლში გავხვიეთ, ჩვენ გადავლახეთ სუასონ-ხარტენნის გზა. ფრანგების დივიზიებმა, რომელნიც დაგროვილია ფერ-ენ-ტარდენუასთან სამხრეთ აღმოსავლეთით მარნაზე და სამხრეთ-აღმოსავლეთით, ვერ გაუწიეს წინააღმდეგობა ჩვენს კორპუსს. ჩვენ გავარღვიეთ მტრის პოზიციები გსანდ-როზონთან. ფერ-ენ-ტარდენუასთან ჩვენ მარნას მივაღწიეთ. სიმაღლეები შამპუაზთან, ქემისთან და როსლინისთან ჩვენს ხელშია, რეიმსის დასავლეთით ავიღეთ ქერმინსა და ხილუასთან. ტყვეების რიცხვი და სამხედრო დავლა თან-და-თან იზრდება. დღემდე 45.000 კაცი დავატყვევეთ, 400 ზარბაზანზე მეტი და 1000-მდე ტყვიის-მფრქვეველი.

სტამბოლი, საომარი ცნობა.

პალესტინის ფრონტი. გუშინ საღამოს ინგლისელებმა საარტილერიო მზადების შემდეგ კვლავ მოიტანეს იერიში ზღვის სანაპიროებით. მათი იერიშები მოვიგერიეთ. ჩვენმა ჯარმა შეინარჩუნა თავისი პოზიციები, რომელნიც მთელი დღის განმავლობაში საარტილერიო ცეცხლში იყო გახვეული და რომლებზედაც მფრინავებს მოჰქონდა იერიშები. მტრის კავალერიის ბანაკს იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მძიმე ზარბაზნებით ესროდნენ. ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს ბანაკში აჯანყებულებს, ჯურუფის დასავლეთით. სხვა ფრონტზე არაფერი მომხდარა.

რადიო-დეპეშები

მოსკოვის რადიო სადგურის ცნობა. სხვა და სხვა ადგილებიდან ცნობები მოდის რომ ადგილობრივი საბჭოები ცენტრალური მთავრობის ნებადაურთველად იტაცებენ სამხედრო ქონებას. სახალხო კამისართა საბჭო განმარტავს, რომ დაპყრობილ ადგილებიდან გამოტანილი და ჩამორთმეული ქონება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის საკუთრებას შეადგენს და საერთო სახელმწ. საჭიროებათ ხმარდება. მისი დანაწილება დავალებული აქვს ცენტრ, აღმ. კომიტეტს განსაზღვრული გეგმით. ყოველგვარ თვითნებობას, ვინც არ უნდა იყოს მის ჩამდენი, უწესოება და რღვევა შეაქვს სახალხო მეურნეობაში. ამიტომ სახალხო კომისართა საბჭო კატეგორიულად მოითხოვს, რომ ადგილობრივმა მთავრობამ თავისი ნებით არ გაანაწილოს სამხედრო ქონება. ცენტრ. აღმ. კომ. თავმჯდომარე: სვერდლოვი სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე: ლენინი.

მოსკოვი. 31 მაისი. თურქესტანის სახ. კომისარების საბჭოს და კოლოსოვს. მიღებულია ყოველივე ზომები, ყოველი ღონეა ნახმარი. ორენბურგში ბუზულუკთან კავშირი გვაქვს. იმედი მაქვს, მალე მივიღებ ცნობას რომ ორენბურგთან კავშირი აღდგენილი გაქვთ თქვენც.

გზათა სახალხო კომისარი: **კობოზევი.**

ტაშკენტის რადიო-სადგურის ცნობა. დეპუტატთა საბჭოს დადგენილებით სამხედრო ტყვეები უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთა რიცხვში შეიტანეს. ამ მოქალაქეთა ინტერესების დასაცავად თანახმად სოციალიზმის პრინციპისა აირჩიეს 30 კაცისაგან კომიტეტი: მხოლოდ მათი წარმომადგენლები შედიან ამ კომიტეტში. მოქმედებათა შეთანხმება კი მოხდება ჩვენი კომისარის შეწევნობით, რომელიც ამისათვის იქნება საგანგებოდ არჩეული კომიტეტი პირველ რიგში თავისი ამხანაგების რეგისტრაციას შეუდგა, რათა ამით გაადვილდეს მათი გაგზავნა სამშობლოში, როდესაც ამისათვის საზოგადო დეკრეტი გამოიცემა. ამის გატარების დროს ცხოვრებაში ჩვენ დაბრკოლებები გვეღობება: თანხა არ არის, საჭიროა იმ სამხედრო ტყვეების შრომის ფასის გადახდა, რომელნიც სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაობენ ჩვენ მოქალაქეებთან ერთად. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ამ დაწესებულებებში მოსამსახურე სამხედრო ტყვეებს ეძლევათ ბინა, სადილით და ტანისამოსი. გვაცნობეთ, სწორია თუ არა ჩვენი თვალსაზრისი ამ შემთხვევაში. მოგვეცით კრედიტი ყოფილ სამხედრო ტყვეების შესანახად სახ. დაწესებულებებში.

ტაშკენტის დეპ. ს. თავმჯდომარე: **ტობოლინი.**

სომხების გარშემო

ტფილისი, 31 მაისი. „ანდონსანი“. ამიერკავკასიის დეპეშათა სააგენტო შეეკითხა სომხების ეროვნულ საბჭოს არარატის დამოუკიდებელ რესპუბლიკის შესახებ, რომლის ცნობა სააგენტოს 30 მაისის დეპეშები იყო მოყვანილი სომხების ეროვნულმა საბჭომ განაცხადა, ცნობა არარატის რესპუბლიკის შესახებ სიმართლეს მოკლებულია. სააგენტო მეტად სწუხს, რომ შეცდომაში შეიყვანეს.

ახალი ამბავი

◆ **განცხადება.** ამით ვაცხობებთ ჭიათურის შავი ქვის სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეების პროფ. კავშირის წევრთ, რომ რადგანაც უკვე სრულდება წელიწადი მას შემდეგ, რაც კავშირის გამგეობა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას, ამიტომ თანახმად კავშირის წესდებისა ახლო მომავალში უნდა იქნეს მოწვეული ამავე კავშირის წევრთა საზოგადო კრება. ამ საზოგადო კრებისათვის წასარდგენად გამგეობამ უნდა დაამზადოს მთელი წლის ანგარიში და, რადგანაც, სამწუხაროდ, ბევრს წევრს კავშირისას, მიუხედავად ჩვენ მიერ მრავალ გზის მიმართვისა, საწევრო ფული არ შემოუტანიათ, უკანასკნელად კიდევ მივმართავთ მათ, მოიხადონ თავისი მოქალაქობრივი და ზნეობრივი ვალი და შემოიტანონ საწევრო გადასახადი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანახმად კავშირის წესდებისა გამორიცხულნი იქნებიან კავშირიდან და მით დაკარგავენ უფლებას მიიღონ მონაწილეობა საზოგადო კრებაზე არჩევნებში. გამგეობის თავმჯდ. ა. კობიძე, მდივანი ა. მარგიანი.

◆ **გორის მუშათა და ჯ. კ. საბჭოში.** გორის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ სარევოლიუციო ორგანიზაციების და წითელი რაზმის წარმომადგენელთა მონაწილეობით დაადგინა: 1) ყოველივე ზომა მიიღოს თავდაცვის წესიერად წარმოებისათვის; 2) შეადგინოს თავდაცვის საგანგებო შტაბი და მიანიჭოს მას დიქტატორული უფლებები, 3) აირჩიოს თავდაცვის შტაბში ვ. ქარცივაძე, მ. კობერიძე, გ. ვარდოიანცი, ი. გაბუნია და პ. მგელაძე; 4) 30 მაისიდან გორსა და მის მაზრაში საალყო წესები გამოცხადდეს და 5) სარევოლიუციო ტრიბუნალს მიენიჭოს სამხედრო საველე სასამართლოს უფლებები.

◆ **სამადლობელი პარაკლისი,** რომელიც უნდა გადაეხადა ქართველ სამღვდელოებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო დღეს თავისუფლების (ერევნის) მოედანზე, გადაიდო შემდეგისათვის.

◆ **მეომრები.** სამტრედიიდან იტყობინებიან: სარევოლიუციო ორგანიზაციათა შტაბი ბრწყინვალედ მოქმედებს: ყოველ მხრიდან გამოცდილი მეომრები მოდიან. ასევეა გურიაში, როგორც გენ. მაზნიაშვილი იტყობინება. ხალხში დიდი აღფრთოვანებაა.

◆ **საქართველოს სუვერენული უფლების** გამოცხადება მეხივით დაეცათ გულში ბევრს არამც თუ ცალკე პიროვნებათ არამედ ჯგუფებსაც კი. ეს უკანასკნელნი მეტის სიმწარე სიბრაზისაგან პირზე ბრაზის ქაფ მორეულნი ყოველსავე ღონისძიებას ხმარობენ სახელი გაუტეხონ ჩვენს მთავრობას და მიზნის მისაღწევად ყოველსავე საზიზღარ ჭორებსა და პროვოკაციულ ამბებს ავრცელებენ. ეს ვაჟბატონები ისეთ სიბრაზემდეც მიდიან, რომ ბევრგან მთავრობის განკარგულებით ქალაქში გამოკრული განცხა-

ეროვნება და ეროვნული თავისუფლება

(გაგრძელება *)

როგორც ვხედავთ, ევროპაში მეტი სულიერობაა, მეტი შეგნება, მეტი სიმტკიცე და თავისებურობა, მაგრამ ბუნება მისი არსებითად არ განსხვავდება თემისაგან. საზოგადოება—არც თემი და არც ერი—თავიდანვე არ არსებობდა. თემი და განსაკუთრებით ერი ისტორიულ კულტურული მოვლენაა, იგი წარმოშობილია განსაზღვრულ ტერიტორიაზე კულტურულ ისტორიულ პირობებით. მაგრამ თავის პროცესში ეროვნება გარდაიქცევა ბუნებრივ-ფიზიოლოგიურ მოვლენად. ფიზიკური და სულიერი ცხოვრების გართულებისა და მემკვიდრეობის კანონები ადრე თუ გვიან განსაზღვრულ ეროვნულ ატმოსფერაში გამოიწვევენ თავისებურ წესებს გრძნობისა და ფიქრისას. რანაირი მოღვაწეობაა უფრო გავრცელებული—ვაჭრობა, სოფლის მეურნეობა, ომიანობა თუ სხვა,—ამის მიხედვით იცვლება ერის ფსიქიკა, რომელსაც აუცილებლად უნდა შეეგუოს და შეეთვისოს საზოგადოების წევრთა მთელი აგებულობა. ადამიანის ორგანოები უთუოდ უნდა შეეგუოს იმ ფუნქციებს, რომლებისათვისაც მოწოდებულია; ამიტომ რომელიმე ერის ფსიქო-ფიზიკური ორგანიზაცია ბუნებრივად უნდა განსხვავდეს სხვა ერების ორგანიზმისაგან. მემკვიდრეობა უეჭველია განამტკიცებს ამ განსხვავებას და ისტორიულ-კულტურულ მოვლენის გარდაქმნის ფიზიოლოგიურ მოვლენად, რომელიც უკვე ვითარდება საკუთარის ბიოლოგიურის კანონების მიხედვით. ამგვარად შემუშავდება ეროვნული ტიპი, რომელიც გამოიხატება არა მხოლოდ შემოქმედების, აზროვნების განსაკუთრებულ ფორმებში, არამედ თავისებურია თავის გარეგნულის, ფიზიკურის სახითაც მაგალითაც, ვიდრე ქართველის სიტყვას გავიგონებდეთ, უკვე მის გარეგნული გამომეტყველება, მისი სხეულის მოყვანილობა, მისი სახის იერი უკვე გვეუბნება, რომ იგი ქართველია. საქართველოს ბუნება, ქართველი ერის მთელი თავგადასავალი აღბეჭდილია ქართველი კაცის გარეგნულობაზე და არა მარტო მის სულიერ არსებობაშია დაცული. ყოველი მოვლენა ჩვენის მიწაწყლისა, ყოველი ბრძოლა და ვაება, რომლსაც გარდაუვლია ჩვენი ხალხის თავზე, ყოველი აღტყინება, სიხარული და გამარჯვება, რომელიც განუცდია, ყოველგვარი შემოქმედება, სულიერი ძალა, რომელიც კი გამოუჩენია ქართველ ერს,—გადმოცემულია ყოველ ჩვენთაგანზე, გამოსახულია ჩვენი სახის ძარღვებში, ბრწყინავს და ელვარებს ჩვენი თვალების შუქში, გაისმის ჩვენს ხმაში, ჩვენი სიტყვის გამოთქმაში. ჩვენი ეროვნული მე-ობა შეგვაქვს არა მარტო შემეცნების, გრძნობის, აზროვნების წესებსა და ფორმებში, არამედ კაცობრიობის ოჯახში განსაკუთრებული ადგილი გვიკავია მით, რომ თავისებური ქართული ტანადობა და სახე გვაქვს...

ეხლა მივიხედოთ ცოტა უკან და დავუბრუნდეთ საკითხს, რომელიც მთელის სიდიადით წარმოსდგა ჩვენს წინაშე თემის წარმოშობის განხილვის დროს და რომელსაც კიდევ მეტი მნიშვნელობა აქვს ეროვნებისათვის. გავიხსენოთ ჩვენი მთავარი დასკვნა: არსებობს ორნაირი წრე-ბუნება, დედამიწა თავის თვისებებით და საზოგადოება. ადამიანი იზრდება და ვითარდება ამ ორ წრეში, იგი მცენარეა დედამიწის, იკვებება მისი ძალებით, იცვლება ბუნების მოვლენების მიხედვით, განიცდის მის ყოველდღიურ გავლენას, მეორეს მხრით იგი ცხოვრობს განსაზღვრულს საზოგადოებრივ ერთეულში, ითვისებს მისგან ენას, ცოდნას, ყოველნაირ კულტურას, ხდება ადამიანი, გონიერი არსება. ამ წრეთა გავლენა ადამიანშია უკვე მის დაბადებამდე; მის სხეულს და სულს მემკვიდრეობით წინაპართაგან აქვს შესისხლხორცებული მათი მოქმედება. ბუნების გავლენა უფრო პირდაპირია, უფრო ძლიერი ისტორიის დასაწყისში და მერე შედარებით სუსტდება, მაგრამ არასოდეს არ კარგავს ძალას. საზოგადოების მოქმედება უფრო არა პირდაპირია და ცხოვრების განვითარებასთან უფრო და უფრო ძლიერდება. ბუნება პირვანდელი ფაქტორია, საზოგადოება, საზოგადოებრივი წრე შემდეგ წარმოშობილია ბუნების წიაღში და თუმცა არასოდეს შორდება დედამიწის ნიადაგს, მაინც მერმინდელ პროცესში ასე თუ ისე დამოუკიდებელი გზით ვითარდება. ადამიანი შექმნა ამ ორმა ფაქტორმა და მოიყვანა დღევანდელი მდგომარეობამდის და მიუძღვება ყოველს მის მოქმედებას. ადამიანი ისაა, რასაც წარმოადგენს ბუნება—სამშობლო და საზოგადოება—ერი. ადამიანში არის მხოლოდ ის, რაც განუცდია და წარმოუშვია ან ერთს ან მეორეს განცალკევებულად ან ურთიერთის გავლენით, ორივეს ჰარმონიულად შეზავებულის მოქმედებით. ადამიანი გაგრძელებაა მშობელი ქვეყნის ფიზიკური სიცოცხლისა—მის სხეულში გვესმის გარეშემო მცენარეთა ფოთლების შრიალი, მისი სისხლის მოძრაობაში ვხედავთ მკვდარი ნივთიერების განყოფიერებას მზის ენერგიით, მის ნაკვთებში მოსჩანს უსულო საგნის გაცხოველება და გასულიერება მშობლიური ჰავის მეოხებით.

რაკი ასეთი განუყოფელობა არსებობს ადამიანსა და მშობელ ქვეყანასა და ერს შორის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ადამიანის არსებობა და განვითარება გარეშე სამშობლოსა და ეროვნულ საზოგადოებისა. ადამიანი მოწყვეტილი თავის სამშობლოს და ერს, ჰგავს იმ მცენარეს, რომელიც მოსწყვიტეს თავის ბუნებრივ ნიადაგს და გადანერგეს უცხო მხარეს, და რომელსაც მოელის ან სრული დაჭკნობა და გახმობა, ან გადაგვარება და დაბეჩავება. ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ემართება მთის ყვავილს, როცა ძირში გადმოვიტანთ ან ბარის მცენარეს, როცა მთაზე გადავთესავთ. ვიცით, როგორი გავლენა აქვს თბილს, ცივს ან ზომიერ ჰავას ამა თუ იმ თესლის აღმოცენებაზე. მაგრამ იშვიათად თუ დავუკვირდებით იმას, თუ როგორ მახინჯდება ადამიანი ერთის ადგილისა და საზოგადოების უცხო წრეში, რომელსაც იგი ვერ ეთვისება.

ადამიანში, რომ იბადება, პოტენციალურად დაცულია მრავალი ნიჭი, შემოქმედებითი ძალა, რომელიც მაშინ გაიშლება და განვითარდება მხოლოდ, თუ გარშემო არსებულმა ბუნებრივმა და საზოგადოებრივმა წრემ აამოძრავა ეს ძალები, ისე როგორც მცენარის თესლი განაყოფიერდება მხოლოდ მაშინ, თუ შესაფერ ნიადაგზე დავარდა და არ მოაკლდა სათანადო სითბო და წყალი. ხოლო ადამიანის ძალების განაყოფიერება ძალუძს მარტო მშობლიურ ბუნებას და საზოგადოებას, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში თვით ჩასახეს ადამიანში ეს ძალები. ადამიანის არსება ერთგვარი ჯადოსნური სიმებია, რომელთაზედ დაკვრა შეუძლია მხოლოდ მშობელ ერს, რომელსაც ხმებს გამოგვცემენ მხოლოდ მაშინ, როცა მას ხელს შეახებენ თავისიანები. რამდენი მაღალი ნიჭის ადამიანი ყოფილა, რომ ვერა გაუკეთებია რა და უსარგებლოთ დაღუპულა იმიტომ, რომ ვერ მოექცა შესაფერ პირობებში. ასეთია საზოგადოთ ყოველი ადამიანის ცხოვრება. ისე შედუღებულია მისი არსება სამშობლოს ბუნებისა და ერის თვისებებზე, ზნე-ჩვეულებაზე, ენაზე, კულტურაზე, რომ მისი ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა საკუთარ ნიადაგზე, საკუთარ წრეში ყოფნა. ამ კანონს ემორჩილება ყოველი მიწის შვილი, რაც უნდა გენიოსი იყოს. სისრულე ცხოვრებისა არ არსებობს გარეშე იმ ბუნებრივ და საზოგადოებრივ წრისა, რომელშიაც ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები, ჩვენი ძველები და ძველისძველები, რომელსაც შეგუებია და შეთვისებია ჩვენი სხეული, ჩვენი გონება, ჩვენი გრძნობა და ფიქრი.

ამიტომ ცხადია: თუ გვინდა, რომ ადამიანის არსებობა იყოს რაც შეიძლება სრული, მისმა ნიჭმა რაც შეიძლება ფართოდ გაშალოს ფრთები, მის დაწინაურებას არა აბრკოლებდეს რა და თავისუფალი ასპარეზი მიეცეს კულტურას,—უნდა უთუოდ ადამიანი დავუბრუნოთ ბუნებას, ავყაროთ ბორკილები ერს და დავუბრუნოთ იგი ადამიანს. ეს ვიწრო პოლიტიკური საკითხი არაა. არა, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, ეს დიადი ბიოლოგიური, კოსმიური პრობლემაა. უამისოდ შეზღუდული იქნება მუდამ ცხოვრების ზრდა საზოგადოთ, უამისოდ ვერასოდეს გაიშლება კულტურული შემოქმედება, რომელსაც მხოლოდ ერთს შეუძლია მსოფლიოს უდიდესი მიზნების განხორციელება.

ახალმა პედაგოგიამ უკვე მიაგნო ჭეშმარიტს კვალს და ბუნებასთან დაახლოვება მიიჩნია საუკეთესო საშუალებად აღზრდისათვის. [illegible] კედლებში, დახშულ ქუჩებს შორის, სადაც ხშირად ბავშვი ცასაც კი ვერ ხედავს, მოკლებულია მზის [illegible] სხივებს, —მოზარდ თაობის გონება მძიმედ ვითარდება. ამიტომ ახალს სკოლებს აარსებენ ისეთ ალაგას, საცა მოწაფისთვის მისაწვდომია ყოველი მოვლენა ბუნებისა, რომ მრავალფეროვანის გავლენით ამოძრავდეს ყოველი კუნჭული ბავშვის არსებისა. განვითარება ფაქტების გაზეპირება როდია და ისე არაფერი გვასწავლის ცხოვრებას, როგორც პირდაპირი შეხება, პირდაპირი განცდა. ვერავითარი გენიოსურად დაწერილი წიგნი ფიზიკისა, გეოგრაფიისა, ბუნებისმეტყველებისა ვერ გვასწავლის იმდენს, რამდენსაც შევიძენთ რამდენიმე დღის საკუთარის დაკვირვებით, რადგან ამ შემთხვევაში მარტო ჩვენი მშრალი გონება კი არ მუშაობს, არამედ საგანს შევიცნობთ, ხშირად უფრო ძლიერ, ჩვენის შეუგნებელის ბუნებით, ჩვენის სხეულით. როდესაც ვაკვირდებით მშობელი ქვეყნის სურათებს, მოხიბლული ვსდგევართ მოდუღუნე მტკვრის ან ბრძოლის წყურვილით დამთვრალის თერგის ნაპირას, როდესაც მთის მწვერვალიდან გადმოვცქერით სულგანაბული მშობლიურ ველებს, ჩვენი სიამოვნება, აღტაცება მარტო სურათის აგრე ვსთქვათ ობიექტიურის სიმშვენიერით კი არაა გამოწვეული. ჩვენს პირად გრძნობას აქ აძლიერებს ის, რომ მსგავსი იყო განცდანი ჩვენი წინაპრებისა ამავე სურათების ჭვრეტის დროს. როდესაც ჩვენს წინ აღმართულია წარმტაცი, დიდის ხელოვნების ტაძარი, ჩვენს საკუთარს ესთეტიურ განცდას უერთდება. იმ ქართველი შემოქმედების განცდა, რომელმაც ააგო ეს ტაძარი, და იმ წინაპრების ეს ტკბილი გრძნობა, რომელნიც ჩვენსავით სტკბებოდნენ ტაძრის სილამაზით. ნაზია და იდუმალი, ამაყი და გმირული ქართული სიმღერა და მუსიკა, ყველას ყურს აამებს მისი გაგონება, მაგრამ ვერავინ ისიამოვნებს მით ისე, როგორც ქართველი, რადგან მასთან ერთად მისი არსე-

---

*) იხ. „სახ. საქმე“ № 245.

დება ქალაქში საალყო წესებისა და სხვ. შესახებ ჩამოხიეს ვითომც ამით მათ საქართველო მეორედ დაიპყრეს. მაგრამ უნდა იცოდნენ გაბრაზებულებმა რომ საქართველოს მთავრობა მტკიცე და შეურყეველ წესიერების გზაზე სდგას მთელის ქართველის ხალხის თანხლებით და განცხადებების ჩამოხევით ვერ შეგვიშლიან ხელს განვამტკიცოთ ჩვენი ნორჩი რესპუბლიკა.

◆ **სახურსათო სამინისტროს** ქართველ მოხელეთა კავშირმა თავის დამფუძნებელ კრებაზედ, რომელიც მოხდა ამ წლის 31 მაისს, მოისმინა რა მოხსენება მომენტის შესახებ, ერთხმად დაადგინა ეცნობოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს შემდეგი: სასურსათო სამინისტროს ქართველ მოხელეთა კავშირის დამფუძნებელი კრება აღფრთოვანებით ეგებება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას და ეროვნულ საბჭოს სახით ულოცავს ქართველ ერს ამ ისტორიულ აქტს; ამასთანავე კრება სრულ ნდობას უცხადებს საქართველოს პირველ ეროვნულ მთავრობას და მზად არის თავგამოდებით ემსახუროს მას საოცნებო სამშობლოს აღორძინების საქმეში. კრების თავმჯდომარე მ. ყოჩიაშვილი, მდივანი შალვა ხაფთასი.

◆ **ვაჭრებისა და მრეწველების კრება.** დღეს, კვირას, 2 ივნისს, დილის 11 საათზე საზაფხულო კლუბის შენობაში დანიშნულია გაგრძელება ტფილისის ვაჭართა და მრეწველთა საზოგადო დამფუძნებელი კრებისა.

◆ **ქართული კლუბი** ორი დღეა რაც საზაფხულო შენობაში გადავიდა. კლუბის საზაფხულო ბაღი შარშანდელზე უკეთ არის მოწყობილი. ბაღის დასამშვენებლად ბევრი ახალი ძვირფასი მცენარე ჩაურგავთ.

◆ 31 მაისს, საქართველოს მთავრობის და საქართ. ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლები გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებს ეწვიენ.

◆ **წარმოდგენა.** დღეს დილით ქართულ კლუბში ქართველ მსახიობთა მიერ შ. დადიანის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება და-ძმა.

◆ **რკინის გზაზე.** რკინის გზის მთავარ კომიტეტმა 31 მაისს დეპეშით განმარტა, რომ რკინის გზის მოსამსახურეებს მხოლოდ მთავრობის განკარგულებით გაიწვევენ. ქალაქის თვითმართველობა არ უნდა ერეოდეს ამ საქმეში.

◆ ამიერკავკასიის რკინის გზის ნაწილის უფროსი სახელმწიფოს მზრუნველობის მინისტრს აუწყებს: კეთილ ინებეთ და განკარგულება გაეცით, სად. ნატანებში, ლანჩხუთში, ქუთაისში, საჯევახოში და ფოთში, დაცლილ იქმნას ლტოლვილებით დატვირთული ვაგონები. აქ ლტოლვილებმა უარი განაცხადეს უკან მცხეთაში დაბრუნებაზე და ვაგონები არ განათავისუფლეს.

◆ **თათრები შულავერში.** სომხეთა ეროვნულ საბჭოს ატყობინებენ, რომ შულავერს გარს შემოერტყნენ შეიარაღებულ თათრების ბრბოები, ოსმალეთის ოფიცრებით სათავეში. საჭიროა დახმარება.

◆ **მდგომარეობა განჯაში.** „ჰორიზონის" რედაქციას განჯიდან აუწყებენ, რომ ამ ჟამად იქ იმყოფება რაზმი 7.000 ასკერიდან შემდგარი რომელსაც 40 ზარბაზანი აქვს ეს რაზმი მოვიდა სპარსეთიდან შუშის მაზრით. ქალაქში სიმშვიდეა ნაზიმ-ფაშას წინადადებით ადგილობრივ თათრებს იარაღი აყარეს, სომხებმა კი კატეგორიულად უარი განაცხადეს იარაღის ჩაბარებაზე ნაზიმ-ფაშას ინიციატივით საგანგებო თათბირია შემდგარი იმის შესახებ, რომ სომხებს იარაღი აჰყარონ.

◆ **სოხუმიდან** საქართველოს მთავრობას იქაური ვაჭრობა მრეწველობის წარმომადგენლები ულოცავენ დამოუკიდებლობას, და აცხადებენ, რომ ყოველთვის მზად იქნებიან დახმარება გაუწიონ მთავრობას. ხელს აწერს თავდგირიძე.

◆ გაზეთი „დელო ნაროდა" დაიხურა.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** ქართულ მე-2 საარტილერიო ბრიგადის ჯარის-კაცი ა. გოგიტაშვილი ხაზინის ფულის დახარჯვისათვის. ჯარის-კაცი გოგვაძე, როგორც მავნე პირი. მე-7 ქართულ პოლკის ჯარის-კაცები ი. ჯაბაური, გ. კანციანცი, ნ. პაპაშვილი ბრძანების აუსრულებისათვის. პრაპ. მ. შმიკინი და მოქალაქე აღდგომელაშვილი ქურდობისათვის, ყალბი ფულების გასაღებისათვის. ალი-იუსუპ-აალი-ოღლი წითელ რაზმელის მოკვლის განზრახვისათვის.

◆ **უპარტიოთა ჯგუფი.** დღეს, საღამოს 7 საათზე ფრეილინის ქ. № 11 ეროვნული საბჭოს ყოფილ ბინაზე მოხდება ქართველ უპარტიოთა კრება. სთხოვენ ყოველ უპარტიოს დაესწროს.

◆ **ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება"** მორიგი ნომერი გამოვიდა; ჟურნალი დაბეჭდილია საუკეთესო ქაღალდზე: ჟურნალში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მინისტრების სურათები, წერილები, ლექსები, მოთხრობები და სხვა. ფასი 1 მანეთი.

◆ **ს. ფოცხვერაშვილის კონცერტი.** სახაზინო თეატრში დღეს გაიმართება საინტერესო კონცერტი კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილისა. კონცერტი დაიწყება შუადღის 12 საათზე. შესრულებულ იქნება ქართული ჰიმნი, მარში, ლოცვა, საბრძოლველი სიმღერა და სხვა., აგრეთვე სხვა ერების სათანადო საგალობლებიც.

◆ **ეროვნული ემბლემა.** კულტურის და შრომის კავშირმა დაამზადა რამდენიმე ათასი ეროვნული ემბლემა—სამფეროვანი დროშა საქართველოსი (პატარა ზომისა) ტანისამოსზე სატარებლად. ემბლემა გაიყიდება დღეს: 1, სახაზინო თეატრთან და 2, ერევნის მოედანზეა კოოპერატივ „დახმარების" წინ. მთელი წმინდა შემოსავალი მოჰხმარდება ხსენებულ „კავშირის" გაფართოებას. გაყიდვა დაიწყება დილის 11 საათიდან.

◆ **„პოგონების" შემოღება.** საქართველოს რესპუბლიკის მთავარსარდლის ბრძანებით გაუქმებულია კავკასიის ფრონტის მთავარ-სარდლის 3 თებერვლის ბრძანება „პოგონების" მოხსნის შესახებ. ახალი ბრძანებით ყველა სამხედრო პირი ვალდებულია „პოგონები" იქონიოს, ვიდრე ახალი ფორმა იქნება შემოღებული.

◆ პარტიათა გარეშე მყოფ ქართველთა კავშირის საზოგადო კრება დანიშნულია კვირას 2 ივნისს, საღამოს 7 საათზე. ეროვნულ საბჭოს ყოფილ დარბაზში (ფრეილინის ქუჩა, სახლი № 11).

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

ტფილისის კომიტეტის წევრთა კრება დანიშნულია ორშაბათს 3 ივნისს, საღამოს 6 საათზე, კრებაზე კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

საქართველოს რესპუბლიკის მტრები

ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ მიგვიქცევია მკითხველის ყურადღება იმ მავნე და საზიზღარ „პოლიტიკაზე" რომელსაც აგერ ერთი თვეა აწარმოებს გაზეთი „ზნამია ტრუდა" და იქ მოკალათებული პირნი სოციალ-რევოლიუციონერების ქურქში რომ არიან გახვეულნი, ნამდვილად კი რევოლიუციისა და თავისუფლების მტერნი.

ჯერ იყო და ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას გამოუცხადეს სასტიკი ბრძოლა, რომელიც უკეთეს შემთხვევაში, პროვოკაციით განისაღვრებოდა,

საქართველოს რესპუბლიკა ხომ სასაცილოდაც არ ყოფნის ამ გაზეთს, წინა დღეს, როდესაც იჭედება ახალი ცხოვრება საქართველოისა, როდესაც ყოველი მოქალაქე ვალდებულია რაც შეიძლება მეტი ენერგია და უნარი გამოიჩინოს ჩვენი თავისუფლების დაცვაში როდესაც ჩვენი ფიქრი და ზრახვანი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისაკენ უნდა იყოს მიპყრობილი, შეიძლება არც მიაქცევს მკითხველი ყურადღებას იმ საზიზღარ პროვოკაციას, რომელსაც „ზნამია ტრუდაში" მოკალათებული ჭეშმარიტი რუსები აწარმოებენ, მაგრამ მათ მოქმედებაში არის ერთი საზიზღარი მხარე რომელიც უნებლიეთ მიიქცევს თქვენს ყურადღებას. გაზეთი აცხადებს რომ ქართველებმა გაჰყიდეს სომხებიო, ჩხენკელმა გადასცა ყარსი ოსმალეთს, რომ შეენარჩუნებინა ქუთაისი. ამ სიტყვებიდან ნათლად სჩანს გაზეთის მიზანი. მას სურს სომხები აუმხედროს ქართველებს.

ცხადია, რომ „ზნამია ტრუდას" სიტყვას არავინ ყურადღებას არ მიაქცევს, რადგან ყველამ კარგად იცის ქართველ დემოკრატიის მოქმედება და მოღვაწეობა, კარგად იცის ეს სომხის დემოკრატიამაც და მას „ზნამია ტრუდას" კომენტარიები არა სჭირია.

ქართველ დემოკრატიამ მთელი თავის ძალღონე იმას შესწირა, რომ შეეთანხმებინა ამიერკავკასიაში მცხოვრებ ერთა ინტერესი. ექვსი თვის განმავლობაში სასტიკ ბრძოლას აწარმოებდა რევოლიუციისა და დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ.

მაგრამ, როდესაც დარწმუნდა ამ ბრძოლის უნაყოფობაში, სხვა გზა აირჩია, გზა საქართველოს თავისუფლებისა, საქართველოს რესპუბლიკისა.

დღეიდან საქართველო თავისუფალია და დამოუკიდებელი, სუვერენული უფლებებით აღჭურვილი და იგი თვით გამოსჭედავს თავის მომავალს, თავის ბედს.

საქართველოს რესპუბლიკა, საქართველოს დემოკრატია არავის ნებას არ მისცემს პროვოკაციის დროშა ააფრიალოს ჩვენს ქვეყანაში.

მართალია ჩვენს ქვეყანაში დღეს ბეჭდვის სრული თავისუფლებაა, მაგრამ ეს არავის უფლებას არ აძლევს ერთი ერი, მეორეს წაუსიოს, პროვოკაცია—საზიზღარი პოლიტიკა აწარმოოს.

კოკი აბაშიძე.

სომხური პოესა

დაშნაკელების ორგანო „ჰორიზონი" (№ 102) მრავალ მხრივ საგულისხმო წერილს უძღვნის სომხის ერის დღევანდელ უნუგეშო მდგომარეობას და მის მიზეზებს არკვევს. დაშნაკელების გაზეთი სომხის ერის უბედურების მიზეზს მხოლოდ გარეშე პირობებში ხედავს და აგრეთვე მეზობელ ერების ვითომდა მათთვის მავნე პოლიტიკაში. სრულიად ავიწყდება სომხების ეროვნული პოლიტიკის ხელმძღვანელ პარტიის ორგანოს თვით დაშნაკცუთიუნის ღვაწლი და დამსახურება სომხთა ეხლანდელი საბედისწერო მდგომარეობის შექმნაში, რაზედაც თითქმის ყოველ მეთაურში დაჟინებით და სრულიად სამართლიანად უთითებს მას სომეხთა ეროვნული პარტიის ორგანო „მშაკი" (განსაკუთრებით № № 78, 80, 83, 86, 96). მოვუსმინოთ თვით „ჰორიზონს".

„უკანასკნელ დღეებში სომხეთის ფრონტიდან მიღებული ოფიციალური და კერძო ცნობები სამხედრო მოქმედებათა შესახებ გადაჭრით ამბობენ, რომ ჩვენ მხარეს სრული გამარჯვება ხვდა წილად. ერევნის ასპარეზზე გამარჯვებამ წამსვე შესცვალა მდგომარეობა და ჩვენს სხვა სამხედრო ნაწილებში და ამ კუთხის მთელ სომხობაში სამხედრო სული გამოაღვიძა.

ჩვენის ფიქრით საბოლოო გამარჯვების იმედი როდია ჩვენი ერის წინამძღოლი, არამედ ბრძოლისა და სახელოვანი სიკვდილის სურვილი.

მაგრამ რაც უნდა სამძიმო, რაც უნდა ძნელი იყოს ჩვენთვის ამის აღიარება, განსაკუთრებით ამ დღეებში, ჩვენ მოვალეობად მიგვაჩნია ვსთქვათ ეს მწარე ჭეშმარიტება: ჩვენ დავმარცხდით.

დავმარცხდით არა თუ გაშლილ ველზედ, მტრის პირისპირ წყობა-წყობა დარაზმული; დავმარცხდით არა იმიტომ, რომ სომხის ერისა და რევოლიუციონური ჯარის მკლავი უძლური გამოდგა. არა. ჩვენ დავმარცხდით იმიტომ, რომ წინააღმდეგ ჩვენი ნებისა, ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების თანხმობის მიუღებლად მათ შეუტყობინებლადაც კი, მტერს გადაეცა ჩვენი უძლიერესი სიმაგრე—ყარსი. დავმარცხდით იმიტომ, რომ მეზობელ ერებთან კავშირი გვქონდა და არ გვინდოდა გაგვეწყვიტა ეს კავშირი მეზობელ ერთა დემოკრატიასთან და მით სარევოლიუციო დემოკრატიის ფრონტის ერთობა დაგვეცვა, ამისთვის ბევრი რამ დავსთმეთ; ბევრ რამეზე დავთანხმდით და ამნაირად დავღუპეთ ჩვენი სამხედრო ძალის დიდი ნაწილი. დავმარცხდით იმიტომ, რომ მოულოდნელი ღალატის წყალობით, საზავო მოლაპარაკების წარმოების დროს ოსმალოები დაგვესხნენ და ხელიდან გამოგვგლიჯეს ალექსანდრეპოლი მისი მიდამოებით. დავმარცხდით იმიტომ რომ (ბრძოლის ველზე) მარტონი დავრჩით დაშლილი, უდისციპლინო ჯარით, რადგან ჩვენი მშობელი ერი მოიქანცა და მშვიდობიანი ცხოვრება სწყუროდა. დასასრულ დავმარცხდით კიდევ იმიტომ, რომ ზურგს უკან დამოუკიდებელი ადერბეიჯანი გვყავს თავისი ოსმალური ორიენტაციით, მეტი რომ არა ვთქვათ, და გვერდით კი—დამოუკიდებელი საქართველო, რომელსაც მთავრობის ოფიციალური ცნობით სურს ოსმალეთთან თავისი ანგარიში მშვიდობიანის გზით გაათავოს და მაშასადამე, თუ ჩვენ ბრძოლა მოგვიხდა, იძულებული იქნება ნეიტრალიტეტი დაიცვას. და ამნაირად ობოლი და გათიშული, როცა ვერავითარ იმედს ვერ დავამყარებთ გარეშე ძალის საქმეში ჩარევაზე, ჩვენი საკუთარი ძალების ამარა, ჩვენი ტანჯული და ბედშავი ერის გმირული [illegible] ბარა, დიახ, ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ საბედ[illegible] გამარჯვება და გადარჩენა.

ეროვნული საბჭო, რომელიც დღეს საბედისწერო ისტორიულ წამის წინაშეა დაყენებული, როგორც სომხის ერის პოლიტიკის ოფიციალურად ცნობილი უზენაესი ხელმძღვანელი ორგანო, არ შეუძლია ლამაზ სარევოლიუციო მჭერმეტყველებას მიეცეს, არ შეუძლია ურჩიოს თავის ერს სიკვდილი, თუნდაც გმირული სიკვდილი, რადგან შინაგანი და გარეგანი რეალური პოლიტიკური პირობები და მათი დღევანდელი საურთიერთო განწყობილება იმის თავდებად ვერ გამოდგება რომ გმირული ომით შესაძლებელია ერის ხსნა და გადარჩენა".

მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი

თავისუფალი საქართველოს მამულიშვილნო!

ოსმალეთის მთავრობის ვერაგულ განზრახვებს ფარდა აეხადა. ქართველი ერის მშვიდობიანობისაკენ მიმართული გულწრფელი წადილი, როგორც ხედავთ ჰაერში გამოწვდილ ხელად დარჩა. მტერმა არ იკმარა ბათომის მხარე მან ნახევარი გურია გაანადგურა.

ქართველ ხალხს ეს საბედისწერო მომენტი ვერ შეუგნია სამწუხაროდ. მცირე რიცხვოვანია მამულის დამცველთა რაზმები. ხოლო ქართველი ერის სარჩო-საბადებელს და მის მიწა წყალს საფრთხე მოელის. ამ საბედისწერო დღეს, ამ შავბნელ დღეს მოგმართავთ ყველას ვისაც საქართველო უყვარს, მარტო სიტყვით კი არა წრფელი საქმითაც, ყველას ვისთვისაც ძვირფასია განაწამები მამულის ბედნიერება, ყველას ვისაც ბორკილი უტარებია, ცრემლი უღვრია, ჩვენ მოგმართავთ მათ ვისაც უტანჯნია მამულისათვის და გულს (არა კიდევ აცვეია.

ქართველო ახალგაზრდობავ შენ მოგმართავთ ჩვენ. შენი მომავალი, შენი მამული, ეს ერთად ერთი ნავთსაყუდარი ადამიანის გულისათვის დღეს უდიდესს განსაცდელშია. ხომ ნახეთ ჩვენი მეზობელი ერი როგორ გაანადგურეს. ხომ ნახეთ რა მწარე ყოფილა ერისათვის საკუთარი მიწა-წყლის დაკარგვა და ცრემლების ნთხევით უცხოეთს გადახვეწა?!

დღეს გაიჭედება ან ბრწყინვალე ბედი თავისუფალი საქართველოსი, ან არა და სამარცხვინო ბორკილი, ოსმალთა ტირანია რო უმზადებს ქართველ ერს. იცოდეთ ამ ბორკილს დიდხანს, კიდევ დიდხანს ვერ შეიხსნით მკლავებზე თქვენ და თქვენი შვილები.

ყოველი ციდა მიწისა—სისხლით მოუპოვებიათ ჩვენ წინაპრებს და ვაი ჩვენ თუ უსისხლოდ დავანებებთ მტერს საქართველოს მიწა-წყალი. ჩვენ ისეთვე ზიზღითა და წყევლით მოგვიხსენიებენ ჩვენი შვილის-შვილები, როგორც ჩვენ იმ ქართველებს ვიგონებთ, რომელნიც ერთი საუკუნის წინ რუსების ჩამოთესლებას ხელს უწყობდნენ.

ქართველო ახალგაზრდობავ, ქართველმა ერმა სულ გუშინ დააღწია თავი მონობას და თუ არ გინდათ უფრო სამარცხვინო ბეგარა, უფრო სამარცხვინო ბორკილი, უფრო საშინელი უღელი არ დაგვადგას ოსმალეთმა, ისმინე ჩვენი მოწოდება, ისმინე განაწამები დიდი ძახილი,—გარდაცვლილ და მომავალ თაობათა ვედრება „გვიშველეთ".

დაგვარწმუნეთ ჩვენ ვისაც ერთხელ და სამუდამოთ გადაგვიწყვეტია ცოცხალი თავით არ დავანებოთ საქართველო ოსმალეთს: შველა მხოლოდ ბრძოლაშია. ნუ შეგვაშინებს მცირე რიცხოვანება, გახსოვდეთ რომ ყოველმა ქართველმა დღეს გაბედულობა და სიმამაცე ჩვენი ერთი მუჭა ერის წარსულიდან უნდა ისესხოს.

მოიგონეთ 8 აპრილის ბრძოლა ნატანებთან როცა ჩვენმა ბატარეამ და ჯავშნოსანმა სულ სამასიოდე კაცის ხელშეწყობით 2 ათასამდის ოსმალო გამოასალმა წუთისოფელს.

ახალგაზრდებო მოგვეშველეთ პოზიციაზე მდგარ ძმებს,—და გვერწმუნეთ ჩვენ კიდევ მრავალი „ნატანები" შეგვიძლია ვაჩვენოთ ოსმალოებს.

ჩვენ უნდა ვაჩვენოთ მაჰმედ მეხუთის ოსმალეთს რომ თუმცა ასი წლის მონობაში ბევრი რამ დაჰკარგა ქართველობამ, მაგრამ გმირული სული, ჩვენს წინაპრებს რო ასულდგმულებდა, ჩვენშიაც არ ჩამქრალა. განა ჩვენ იმ ქართველების შვილები არა ვართ, მონობას რომ სიკვდილს არჩევდნენ, განა ჩვენ იმათი მოდგმა არა ვართ, ვისი სახელის ქუხილი გურგენისა და შავი ზღვის და კავკასიონის ქედს გადაღმა რო ესმოდათ მეზობლებს?!. კმარა სამარცხვინო წუწუნი საკუთარ უძლურობაზე მიზეზების ძებნა და სხვაზე გადაბრალება! გახსოვდეთ ჩვენივე სიმხდალე იქნება საქართველოს შესაძლებელი დაღუპვის მიზეზი.

გახსოვდეთ ნაპოლეონ ბონაპარტეს სიტყვები: „შეუძლებელი მხოლოდ მშიშარას თავშია". მეომრისათვის სირცხვილიცაა დამარცხების შიში. **იმას ვინც თავის ერის მიწა-წყალს, თავის ერის უფლებას, იმას ვინც თავის ერის მომავალს იცავს, მტერი ვერასოდეს ვერ დაამარცხებს.** ყოველი ჩვენგანი შეიძლება ჭრილობებითა და საკაცეებით დაგვაბრუნონ სამშობლოში, მაგრამ იათასავით დამარცხებული არასოდეს არ ვიქნებით, ვინც დღეს შეიარაღებული სახლში იმალება და დედაკაცურად გაიძახის: „არიქა არ გავწყდეთო".

შხამად შეერგოს საქართველოს მიწა-წყლისა და ბუნების სიმტკბილე იმ ახალგაზრდებს, რომელნიც სამარცხვინო საბოტაჟს ეწევიან ქართველი ერისადმი. სირცხვილი დეზერტირებსა და მხდალ მამულიშვილებს!

ჩვენ თქვენ მოგმართავთ ვისაც კიდევ გჯერათ, რომ საქართველოს მზე საცაა უნდა ამოვიდეს. ქართველო ახალგაზრდობავ გახსოვდეთ, რომ ეს მზე განახლებული საქართველოსია დღეს თოფის წამლის ბურუსითაა მოცული და იგი მზე მხოლოდ ჩვენი სანგრებიდან თუ ამოვა.

მაშ მოგვეშველეთ ყველამ, ვისაც საქართველო გულწრფელად უყვარს. სანგრებისაკენ, პოზიციებისაკენ გამოსწიეთ განახლებული საქართველოს ჭირისუფალნო!

2 ქართული მსროლელთა საარტილერიო ბრიგადის 4 ბატარეა.
ბატარეის უფროსი: კაპიტანი №№.
უფროსი ოფიცერი X.
პორუჩიკი ⁂
ჯარის-კაცები...

ზოგი რამ

ქართველობას ერთი მეტად მოხდენილი სიტყვა აქვს იმ მდგომარეობის გამოსახატავად, როცა ადამიანი არავის ემორჩილება, სიტყვა იგი თავისუფლება გახლავს ამ სიტყვით ქართველი ხალხის გენია უარჰყოფს, როდესაც ჰყავნდეს სხვა ვინმე უფალი და მოითხოვს, რომ იგი იყვეს მხოლოდ თავის უფალი, თავის თავის ბატონი. მაგრამ თუ ზოგჯერ ადვილია ამ თავისუფლების შეგნება კერძო კაცისთვის, მეტად ძნელია კაცთა კრებულისთვის, რომელიც ამა, თუ იმ ეროვნებას წარმოადგენს. როცა ხალხს [illegible]უგნია თავისუფლება, მაშინ იგი აფასებს ამ საუნჯეს ისევე, როგორც კერძო კაცი და ვაგლახად არავის დაუთმობს, ხოლო თუ დაჰკარგვია, ყოველი ღონის ძიებით ეცდება მის მოპოვებას.

თავისუფლების საჭიროებას ჩვენი ხალხი ჰგრძნობდა, მაგრამ რა კი კოლექტივად მისი შეგნება მომწიფებული არ იყო, ვერც ახერხებდა [illegible] ბამდე მის მოპოვებასა ზოგიერთ [illegible] ყვის, გარემოებამ ხელი შეუ[illegible] მართალი ბრძანებაა, მაგრამ [illegible] მართალია, რომ შეუგნებელ ერი[illegible] კოლექტივს ზოგჯერ ვერც [illegible] შემწყობი გარემოება უშველის. [illegible] დარწმუნებული ვარ, რომ არ და[illegible] ბილიყო ძველი რეჟიმი, საქართველ[illegible] გამათახსირებელი პოლიტიკურ[illegible] ერო[illegible] ნულ ეკონომიურად, ნაციონალიზმ[illegible] იდეა ჩვენს ხალხს ააჯანყებდა, რ[illegible] სხვისი უღლება თავიდან მოეშორებინა და თავისუფლება მიეღწ[illegible]ინა მოუ[illegible] ხედავად იმისა, გაიმარჯვებდა, თ[illegible] დამარცხდებოდა, დამარცხება კიდე[illegible] ხელს ვერ აალებინებდა დაკარ[illegible] თავისუფლების მოპოვებაზე.

სოციალიზმის და ნაციონალიზმის ორი იდეა ჩვენი სოციალისტური პარ-

---

ბაში, მის სისხლსა და ხორცში სიამოვნობენ მისი წინაპრები. მთელი ატმოსფერო სამშობლოსა გაჟღენთილია იმათ სულებით, რომლებიც აქ ცხოვრობდნენ წინად, განიცდიდნენ სამშობლოს ბუნების ყოველ მოვლენას, იღწვოდნენ მის საკეთილდღეოდ ჰქმნიდნენ მის კულტურას, მკვდრები მიწაში კი არ განისვენებენ, ზევით არიან ჰაერში და ჰაერთან ერთად შესუნთქვამთ ხოლმე მათ სულსაც.

სამწუხაროდ ძლიერ ნაკლებადაა შეგნებული ამის მნიშვნელობა და ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც უფრო იმას სცდილობენ, რომ როგორმე შებორკონ და გადააჯაჭვონ ადამიანის არსება, ვიდრე ნება მისცემს მას თავისუფალ განვითარებას. არა თუ უნდათ, ადამიანი მოსწყვიტონ თავის ერს, ჩაჰკლან ეროვნული არსებობა, თვით ბუნებასაც კი დაადებდნენ ხუნდებს, არ მიაკარებდნენ ადამიანს, რომ ეს შესაძლებელი იყოს ვერ წარმოუდგენიათ ადამიანი, ლაღი (თავისუფალი) ბუნებრივად დაბადებული და აღზრდილი. სწადიათ, მისი მოტეხა, მოქნა, მოხრა, განყენებულის წესაზრების მიხედვით შემუშავებულ კალაპოტში მოაწყვდევა. ასე იქცევიან არა მარტო სარწმუნოებრივი ფანატიკოსები, „ძალად მაცხონე"-ები, არა მხოლოდ სხვა და სხვა ჯურის პოლიტიკური რეაქციონერები და მოძალადენი, საუბედუროდ ამ გზას ადგიან ბევრნი ისეთნიც, რომელთაც დროშაზე ადამიანის თავისუფლებაა წარწერილი.

დიდი ბრძოლაა საჭირო, რომ ეროვნულმა თავისუფლებამ, რომელიც ცხოვრების ერთი უდიდესი საკითხთაგანია, საბოლოოდ გაიკაფოს გზა. ყოვლის უწინარეს ბრძოლაა საჭირო იმისათვის, რომ გაიფანტოს ის ბურუსი და გაუგებრობა, რომელიც გარს ახვევია ეროვნებას და ეროვნულ თავისუფლებას. ეროვნება უძლიერესი ფაქტორია განვითარებისა და მისი უზრუნველყოფა და თავისუფალი არსებობა დედასაგანი უნდა იყოს ყოველი საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. ადამიანის სრულყოფისათვის ერთად ერთი გზა ეროვნებაა, ადამიანის განვითარება გადაჭრით მოითხოვს ეროვნულ ატმოსფერას, მუდმივ ჰარმონიულ შეთანხმებას მასთან. ერი ჰაერია ადამიანის სხეულისა, ადამიანის ნერვებისა, ტვინისათვის და ყოველი მოძალადე, რომელიც ხუთავს და ახშობს ეროვნებას, ეროვნულ საზოგადოებას, კაცის მკვლელია—არა ერთის, არამედ ათასების და მილიონების. ყოველი, ვინც არ ცდილობს ერის თავისუფლებას, მოსისხლე მტერია ნებსით თუ უნებლიეთ კაცობრიობის დაწინაურებისა. ადამიანის ჩონჩხებია და არა ცოცხალი სული იქ, სადაც ეროვნული მონობაა დამკვიდრებული!

არავითარი შეზღუდვა, არავითარი ძალადობა ეროვნული კოლექტივის წინააღმდეგ, თუ გვინდა ადამიანის ბედნიერება, თუ გვინდა, რომ ადამიანის არსება მიწვდეს ღვთაებრივობას, თავის ბუნებაში, შეაერთოს ყოველი დიადი მიწიური და ზეციური და განახორციელოს საოცნებო მისწრაფებანი. ადამიანი უნდა იზრდებოდეს მშობელი ბუნების წიაღში, უნდა ვითარდებოდეს მშობლიური ერის საზოგადოებაში არავითარი ზღუდე არ უნდა აშორებდეს მას არც ერთს, არც მეორეს. ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს სამშობლოს, სამშობლო უნდა ეკუთვნოდეს ერს. სამშობლოს გამგე და პატრონი უნდა იყვეს ერი, ადამიანის მწვრთნელი და წინამძღოლი უნდა იყოს ერი. სამშობლო და ეროვნება შედუღებულია, ასე შედუღებული უნდა იყოს ორივეზე ადამიანი. ეს შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერი თავისუფალია, არავითარი დაბრკოლება არ გამრუდავს მის განვითარების გზას, თავისუფლად, სხვის ძალდაუტანებლად მიიღებს ყოველს ცვლილებას, შეითვისებს და შეიგუებს ყველაფერს, რაც მის არსებობას ეთვისება და ესისხლხორცება.

ეს ოდნავად არ ჰგულისხმობს რაიმე კარჩაკეტილობას და ერების სრულს გათიშვას და განცალკევებას. ერს აქვს თავისებური არსება. იგი ვითარდება საკუთარის გზით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ერმა არავინ მიიკაროს და არა შეითვისოს, ისესხოს რა უცხოს კულტურის. არა ეროვნებას თავისებურობა და თავისუფლება მხოლოდ იმას მოითხოვს, რომ გადმოღება უცხოელთა ღირსებისა, წესისა, ცოდნისა მოხდეს სრულიად თავისუფლად; იგი უნდა გადაადუღოს ერმა თავის გულში და ისე გაეროვნებული მიაწოდოს თავის შვილებს, არც ერთი დიდი მოვლენა მსოფლიო ისტორიისა არ მიუღია ყოველს ერს ერთნაირად. ისეთი უნივერსალური სარწმუნოება, როგორიცაა ქრისტიანობა, თითოეულმა ერმა თავისებურად შეიცნო და შესცვალა. ნამდვილიც არ არის ერთი ქრისტიანობა, იგი იმდენია, რამდენიცაა ქრისტიანი ერი. მაჰმადიანობის ნიადაგზე არაბებმა და სპარსებმა უმაღლესი კულტურა გახავითარეს, ხოლო იმავე სარწმუნოებამ ვერაფერი შეჰქმნა ოსმალოთა შორის გარდა ბრმა ფანატიზმისა. ესევე ითქმის ჩვენი დროის უდიდეს მოვლენაზე, დღეს არსადაა ისეთი განათლებული მხარე, რომ სოციალიზმი არ იყოს გავრცელებული. მისი საბოლოო მიზანი, მისი საერთო მისწრაფება ყველგან ერთნაირია, მაგრამ მისი პრაქტიკული განხორციელება ხდება ეროვნულ საზოგადოებრივ წრეში და ყველგან თავისებურია, ადგილობრივია, ეროვნულია. სოციალიზმის და დემოკრატიზმის შეთვისება ერთნაირი არაა, მაგალითად ჩვენში და რუსეთში და ეს არ აიხსნება მარტო განსხვავებულის ეკონომიურის პირობებით, დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიულ-კულტურულს, ეროვნულს სხვადასხვაობას...

სამ. ფირცხალავა.

(შემდეგი იქნება)

ტიების მოღვაწეობაში გადაიქცა ერთ დიდებულ იდეად, რომელმაც შჰქმნა საქართველოს თავისუფლება და რომელიც შინ ავალებს დემოკრატიული ფრონტის განმტკიცებას, ხოლო მეზობელ ხალხებთან მშვიდად ცხოვრებასა.

*

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება ცხოვრების ნაციონალურ საკითხს წამოგვიყენებს თავის სხვადასხვა-სახით გადასაჭრელად და პრაქტიკაში დაუყოვნებლივ გასატარებლად.

მეთექვსმეტე საუკუნიდან საქართველოში იწყება აღორძინების დრო, აღორძინება მწერლობას კი არა მარტო, ცხოვრების სხვა დარგებსაც დაეტყო, მაგალითად ადმინისტრაციას, სადაც გაბატონებული იყო თანამდებობათა სპარსული სახელები მაგრამ მათ მაგიერ აღადგინეს ქართული და შემოიღეს აგრეთვე ზოგიერთი ქართული თანამდებობა, როგორც მაგალითად მოურავის და დიდ-მოურავისა.

ძველმა რეჟიმმა საქართველო დაჰყო გუბერნიებად და მაზრებად, ქალაქები პოლიციის უბნებად, ხოლო ზოგიერთ ქალაქს და მის ქუჩა-მოედნებს დაარქვა ახალი სახელები, რომ კვალი მოესპო ეროვნული ცხოვრებისა. ასე გაჩნდა ზესტაფონის მაგიერ „კვირილი, ხორაგაულის მაგიერ „ბელოგორი", ხაშურის მაგიერ „მიხაილოვო", ტფილისში სოლაყბის მაგიერ „ერივანსკაია პლოშჩად", შუაბაზრის მაგიერ „არმიანსკი ბაზარ", ლეღვის ხევის მაგიერ „ბოტანიჩესკი სად" გარეთ უბნის ნაცვლად „გოლოვინსკი პროსპექტი" და სხვა მრავალი, სახელწოდება, რომელიც ქართველი კაცის სულს და გულს მონობის მეტს არაფერს უთხრობს, მანამდე კი საქართველო დაყოფილი იყო თემებად, ხოლო ქალაქები უბნებად. ეხლაც საქართველო უნდა დაიყვეს სამოურაოებად და დიდ სამოურაოებად თემების მიხედვით, რომელთა შორის ქართლ-კახეთ-იმერეთ ოდიშის თემებს უნდა განაგებდენ დიდ მოურავები, ხოლო დანარჩენებს მოურავები. ქალაქების უბნებს და ქუჩებს უნდა დაბრუნდეს ისტორიული სახელები, ხოლო აწინდელი ზოგიერთი სახელები განსაკუთრებით ქუჩებისა სრულიად მოისპოს და მის ნაცვლად ისეთი სახელი ეწოდოს რომელიც მოაგონებს კაცს მშობელი ერის, ან უცხო ერის დიდებულ მოღვაწეებს და არა ძველი, რეჟიმის ჯალათ ბიუროკრატებსა. სახლის ფანრის, ქუჩის სახელის და მაღაზიის აბრის (ვივესკის) ქართული წარწერაც უნდა იყვეს კარგის ხელით და კარგის ენით შესრულებული, რომ დღევანდელ ჩვენს უკულტურობას, რაიც ეგზომ აშჩნევია ქართულ საჯარო წარწერებს, ბოლო მოეღოს. შინაგან საქმეთა მინისტრი მოვალეა ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს.

პეტრე მირიანაშვილი.

წერილი მეგობართან

ძვირფასო მეგობარო! დასავლეთ საქართველოს ძველი სატახტო ქალაქიდან გიძღვნი სალამს და გისურვებ შეძლების და გვარიად კიდევ დიდხანს ემსახურო შენს წმინდა საქმეს.

დიდი ხანია აღარ მომიწერია შენთვის წერილი და დარწმუნებული ვარ საყვედურს იტყვი ჩემზე, მაგრამ კარგად იცი, მეგობარო, თუ დღევანდელი მოშხამული ატმოსფერისა გამო, როგორ ხასიათზეა თითოეული ჩვენთაგანი და როგორ სულიერ განწყობილებას გრძნობს, რომ მაგიდას მიუჯდეს და დამშვიდებული ჭკუა-გონებით წერილები სწეროს. კარგად ვიცი, რომ შენც ასე გრძნობ თავს და იმიტომ არ დამემდურები. დღეს ნეტარება მას, ვინც ბრიყვია, თორემ გონიერ ადამიანს რა დაამშვიდებს, როდესაც თავისი სამშობლოს უბედურებას, ათას გვარ საზიზღრობასა და კაციჭამიობას თავის თვალით ხედავს. ყოველივე შენც მოწმე ხარ. ამიტომ სიტყვას გაგაგრძელებ და გიამბობ, რა დღეს სახალხო სკოლის გარშემო, რომელიც ჩვენ სატრფიალო [illegible].

[illegible] გად იცი, რომ სახალხო სკოლა [illegible] უვარგისი იყო, როგორც ფორმით ისე შინაარსითაც, იმიტომაც საზოგადოებამ და პრესამ ერთხმად დაჰგმო იგი. მასწავლებელი ძველი უკანონო პირობებისა გამო პირდაპირ [illegible] ნოქრ თამობს; იგი [illegible] არა მასწავლებლად, არამედ ჯალათად და როგორც უსულო მანქანა ბავშვებს გონებრივად ასახიჩრებდა. სკოლას მაშინ მოაქვს ნაყოფიერი სარგებლობა, როდესაც მასწავლებელს თანაუგრძნობს და ეხმარება აქტიურად ოჯახი და საზოგადოება; სკოლა მოკლებული იყო ასეთ თანაგრძნობას, რის გამო ძველი ტიპის სკოლა ვერ ასრულებდა თავის პირდაპირ დანიშნულებას და მიმართული იყო ხალხის ნორმალურ განვითარების წინააღმდეგ. სახალხო მასწავლებელთა ყრილობებზე ყოველივე ის საკმაოდ დახასიათდა.

დღეიდან სკოლა ძირიანად უნდა შეიცვალოს: მას უნდა მიეცეს უფლება მოზარდ თაობის თავისუფალი განვითარებისა, ამიტომ უნდა მოეწყოს ავტონომიურად და იქნეს წმინდა ეროვნული; არავითარ პოლიტიკას და პარტიულ თვალსაზრისით მოქმედებას იქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მასწავლებელი სკოლაში უნდა იყოს ნამდვილი მუშა მასწავლებელი და არა აგიტატორი და პროპაგანდისტი; იგი უნდა იყოს გამსჭვალული წმინდა პედაგოგიური აზრებით; თავის ცოდნასა და გამოცდილებას უნდა ხარჯავდეს სკოლის კეთილდღეობისა, მოსწავლეთა განვითარებისა და ხალხის გათვითცნობიერებისათვის. თავის ამხანაგს სკოლაში უნდა უყურებდეს ისე, როგორც პროფესიით ამხანაგს, მასწავლებელს და არა პოლიტიკური რწმენით მოწინააღმდეგეს; თუ თანამოაზრეს. ამხანაგები სკოლაში შეთანხმებულად უნდა მუშაობდნენ საერთო საქმის აღორძინებისათვის; მათ შორის სკოლაში პარტიული ანგარიშებით შეხლა-შემოხლას და პოლემიკები არას დროს არ უნდა იქმნას დაშვებული. სკოლის პედაგოგიური საბჭოები ერთად სამზრუნველო კომიტეტებთან ავტონომიურად უნდა მოქმედებდნენ სკოლებში; ამათ უნდა ჰქონდეთ სრული უფლება მასწავლებელთა გამორჩევა-მოწვევისა. კარგად მოგეხსენება, მეგობარო, რომ სადაც ხალხს სწავლა განათლების საქმე წესიერად არა აქვს მოწყობილი, იქ შეუძლებელია რიგიანად მოეწყოს მართვა-გამგეობის რესპუბლიკური ფორმა. სამწუხაროდ ჩვენ სკოლებში ასე არ ხდება და ყველაფერში წინააღმდეგობას ვხედავთ. რევოლუციამ ამ ერთი წლის განმავლობაში სახალხო სკოლას არაფერი არ მისცა და არც არავის მიუცია იმისთვის ჯერ; ან ვის სცალია სკოლებისთვის, როცა ჯერ ყველგან ანარქია გამეფებული! სახალხო მასწავლებლობამ სკოლის ნაციონალიზაციისა და ნივთიერი მდგომარეობის შესახებ ამოიღო ხმა, მაგრამ ჯერ კიდევ ესეც ვერ იქნა სასურველად მოწესრიგებული. ნაციონალიზაციას სკოლებში ბევრგან ადგილი არა აქვს და ძველებურად მიდის საქმე; მასწავლებლობის დიდი ნაწილი არ არის მომზადებული ასეთი სკოლებისათვის. მასწავლებელთა ნივთიერი მდგომარეობა ვითომ გაუმჯობესდა მით, რომ თვეში 21 თუმანი დაენიშნათ, მაგრამ დღეს ეს ფული ისევ ძველებურ 20 მანეთს უდრის და სადღა გაუმჯობესებაა ეს! ამასაც ვერ იღებენ ხაზინიდან ფულის ნიშნების უქონლობისა გამო, ამიტომ მასწავლებელი დღეს უფრო მეტად მშიერი და შიშველია. სკოლებში წესიერების ნაცვლად გამეფდა ანარქია და ყოველგვარმა უკანონობამ იჩინა თავი; სახალხო მასწავლებელი ჯერ კიდევ აბუჩად აგდებული და უფლებააყრილია.

სხვა მოხელეთათვის თუ არის ოცრიცხვში ჯამაგირი, მასწავლებლისათვის არც დამლევში; ხაზინებში ფულის მიღების დროს ნათლიმამობას აქცევენ ყურადღებას. მასწავლებელს არ აძლევენ უფლებას თავისი მეთვალყურის არჩევაში მონაწილეობა მიიღოს, რათა სკოლას მომზადებული ხელმძღვანელი დაუყენოს. ის დაწესებულება, რომელიც წინად ბოქაულებსა, ცხისა და მაზრის უფროსებს ნიშნავდა, დღეს სკოლის საკითხში ერევა და რაიონის მეთვალყურეებს მაღლიდან აწესებს. მოიგონე, მეგობარო, როგორი აურზაური ასტყდა დასავლეთ საქართველოში სახალხო მასწავლებელთა და საგუბერნიო აღმასრულებელ კომიტეტს შორის რაიონის მეთვალყურეთა არჩევის დროს. აღმასრულებელი კომიტეტი, მიუხედავად იმისა იცნობდა თუ არა კანდიდატს, თუ რამდენად შეეფერებოდა იგი თავის დანიშნულებას, მასწავლებელთა დაუკითხავად ნიშნავდა მეთვალყურეებს, მასწავლებლები კი თავ-თავიანთ რაიონებში ახვედნენ ყრილობებს და თვითონ ირჩევდნენ სკოლის ხელმძღვანელებს; არჩევნების დროს ყურადღებას აქცევდნენ, როგორც კანდიდატის პედაგოგიურად მომზადებას, ისე იმის ადამიანობას. მასწავლებლები წინააღმდეგნი იყვნენ ისეთი კანდიდატისა, რომელსაც ისინი ნდობას არ გამოუცხადებდნენ; და ბოლოს შეთანხმება მოხდა და არჩევნების სისტემამ გაიმარჯვა. ასეთივე უთანხმოება გაჩაღდა ქალაქებში სასკოლო კომისიებისა და ქალაქის სკოლების მასწავლებელთა შორის; კომისიებმა მოინდომეს მთელად უფლებების წართმევა თავისუფალ ადგილებზე მასწავლებელთა არჩევის დროს და აღარაფერს აღარ ჰკითხავდენ მასწავლებელთა კორპორაციებსა და კავშირებს.

ასეთმა კომისიებმა სამწუხაროდ მოღვაწეობის დაწყებისათანავე გაილაშქრეს სკოლის ავტონომიის წინააღმდეგ და გამოაცხადეს მასწავლებელთა უფლებების შეზღუდვა. რასაკვირველია ამას მოჰყვება უთანხმოება, რომელიც შეაფერხებს სკოლის საქმეს და გააძლიერებს იქ ანარქიას; მასწავლებელთა არჩევნების დროს ბევრგან ხელმძღვანელობენ პარტიული მოსაზრებებით, თითქო სკოლაში საჭირო იყოს მიტინგის ხელმძღვანელი, და არა გამოცდილი პედაგოგი. მასწავლებლები დაიქსაქსენ; მათ შორის სოლიდარულ მოქმედებას ადგილი ნაკლებად აქვს, რაც ნათლად დამტკიცდა მასწავლებელთა გაფიცვის დროს: გაფიცვაში ჯერ აჩქარებული ნაბიჯი გადადგეს და შემდეგ სამარცხვინოდ დაამთავრეს.

სხვა, მეგობარო, კრებები ხშირად გვაქვს; ლამაზ სიტყვებს ვიტყვით, ოქმებს ვწერთ, რეზოლიუციები გამოგვაქვს და მით ვათავებთ საქმეს; საქმით განხორციელების დროს ყველა გორბის და უმცირესობას რჩევა თავიანთ საქმე. კულტურული საქმიანობის მაგივრად ერთი მეორეს ვასამართლებთ. პედაგოგიური ჟურნალი არ გვაქვს, ვერც ჩვენ [illegible] ძალაში ჟურნალის, აღორძინებისათვის და ვერცა ჟურნალ „განათლებას" შევაწყვეთ ხელი. [illegible] ამ ჟურნალის გამოცემისა და გავრცელების [illegible] ...

[illegible] ი და როგორ თავგანწირვით საქმეს ან დღევანდელი პირობებისა გამო, როგორი სულიერი განწყობილებით შევხვდებით ამ კურსებს, ჯერ არ ვიცით; ამას გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა. თუ მშვიდობა იქნა მომავალი სასწავლო წლიდან უნდა შევუდგეთ დაღვაწლ მუშაობას, რათა გავაღვიძოთ სკოლას ნამდვილი სახე; თუ კი მასწავლებლებმა სკოლებში პოლიტიკას თავი არ დაანებეს და სოლიდარულად არ იმოქმედეს, საქმე რიგიანად არ წავა. ასეთია დღეს ჩვენსკენ საქმის ვითარება და ამით ვათავებ ჯერ ჯერობით შენთან საუბარს.

მარად შენი პატივისმცემელი მეგობარი ლადო ბზვანელი.

მოწოდება

რკინის გზის ქართველ მოხელეებს.

სამი-ოთხი თვის წინად ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამართველოს, კახეთის რკინის გზისა და ლიანდაგის ქართველ მოსამსახურეთა საერთო კრებამ მოისმინა საინიციატივო ჯგუფის მოხსენება კავშირის დაარსების შესახებ ერთხმად აღიარა საჭიროება რკინის გზათა ქართველ მოხელეების შეკავშირებისა. კრებამ აირჩია საბჭო, რომელმაც თავის წრიდან გამოჰყო აღმასრულებელი კომიტეტი. საბჭომ უკანასკნელ თავის სხდომაზე, 27 მაისს, ხელახლა აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. რომელშიაც მოყვნენ ნ. ლეჟავა (თავმჯდომარე), ექიმი გ. ქუხელიშვილი (თავმჯდომარის ამხ.) დ. არონიშიძე (მდივანი), გ. ანანიაშვილი (მოლარე), ინჟ. სარაჯიშვილი, ექიმი ქუთათელაძე და გრ. ჰკუასელი. კავშირს აქვს თავისი წესდება და უახლოეს მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რკინის გზის გაქართულებას, ნაციონალიზაციას. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ კავშირს საჭიროდ მიაჩნია არჩეულ სარკინისგზო კომიტეტებმა დაიკისრონ მხოლოდ მოსამსახურეთა პროფესიონალურ ინტერესებზე ზრუნვა, ადმინისტრატიულ-პოლიტიკური ფუნქციები კი უნდა გადავიდეს სრულიად საქართველოს ცენტრალ მთავრობის ხელში.

ვინც თანაუგრძნობს კავშირის აღნიშნულ მიზნებს, აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მათ გაეცნონ წესდებას, რომელიც ჯერჯერობით ხელნაწერი მოიპოვება და თუ დააყოვნებენ სავალდებულო საწევრო გადასახადის (სამი მანეთი წლიურად) შემოტანას, კავშირში ჩაწერა შეიძლება შემდეგ პირებთან: გიორგი ანანიაშვილი (საპენსიო კასა), ინჟ. სარაჯიშვილი („ტიაგის" სამსახური), სოსო ყირმელაშვილი (კახ. რკ. გზის დეპო ნავთლუღში), გრიგოლ ჰკუასელი (კახ. რკ. გზის ტელეგრ. უფროსი), არჩილ რჩეულიშვილი (მთავარი ბუღალტერი), სანდრო თავდგირიძე (მატერიალური სამსახური), დომენტი არონიშიძე („სლუჟბა სბოროვ"), და ნიკო ლეჟავა (კახ. რკ. გზის სამართველო.) აღმასრულებელ კომიტეტის სახელზე ყოველგვარი შეკითხვები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: კახეთის რკინის გზის სამართველოს ნაწილის უფროსს ნიკო ლეჟავას.

რკინის გზათა ქართველ მოხელეების კავშირის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

P. S. ყველა ქართულ გაზეთებს ვსთხოვთ ეს მოწოდება გადაბეჭდონ.

გამომცემელი [illegible]
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა
საწყობი („პროგვა")
აფთიაქის,
მინერალური წყლების, ლუდის,
ღვინის და კვასის.
სოლოლაკი, სერგეევის ქ. № 14, ეზოში მარჯვნივ. 572

ექიმი
დონხინი
პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი იღებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს. დილის 7—12½ ს. საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76 (საიკინის კბილის საექიმო). ტელეფონი 7—38. 518

ექიმი
კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ექიმი
გ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხამედიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებების სპეციალისტი. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის" პირდაპირ. 1029

ექიმი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2180

ექიმი
ი. ლ. შალამბერიძე
იღებს საბებიო და საშვილოსნო ავადმყოფთ, საღამოს 5—7 ს. მისამართი პეტროგრადის ქ. № 7. 1027

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1082

ექიმი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის თავადთა საავადმყოფოსი, იღებს 4—6 ს. გარდა კვირისა. მისამართი: სერგიევის ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ექიმი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ქ. [illegible]
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მაჩაბელი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ექიმი
თიკანაძე
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ექიმი
ბ. მ. მუხაძე
იღებს საღამოსტ ავადმყოფებს საღამოს 5—6 ს. კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67, ოფიცერთა საკრებულოს საზოგადოების შენობის პირდაპირ, სახლი სვანიშვილისა. ტელეფ. 6—77. 1030

ექიმი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. და სად. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1002

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს" პირდაპირ № 8. 450

ექიმი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ ახკოვის ქ. № 11. 426

ექიმი
[illegible]
იღებს ავადმყოფებს დილის 12—2 საათ.

ექიმი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის
და ლ. მ. ნაზარეტიანცის
საავადმყოფოში იხსნება კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის" ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.
ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ექიმი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ
ყოველ დღე (გარდა კვირისა
დილით:
„606" და „914" 11—12 ს.
ბ. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. ა[illegible]: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
[illegible]—კანისა და ვენერიული ავადმყოფებს 11½ ს.
მ. ვ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საშვილოსნო ავადმყ.
მ. მ. ბენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
საღამოთი:
ა. ნ. ისაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა
სავაჭრო სახლი
„კომერსანტი"
კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.
ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.
„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დაბა ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.
„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა ღირებში შეიძლება მისი შეძენა.
„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიათ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.
„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორდოვომი". 1160

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:
ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციაში და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.
ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

სტამბა „სახალხო საქმე", ბარონის ქუჩა № 14